ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3639270

ნომერი: AR1549922

თარიღი : 17.10.2017

გაცემის თარიღი : 27.10.2017

გაცნობის თარიღი : 27.10.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვ. ჩიქოვანის ქ. N1-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა ვ.ჩიქოვანი , N 1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ფოცხვერაშვილი პ/ნ 01010000872
- საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, მიკრო/რაიონი IV, კორპუსი 14, ბინა 33

ორგანიზაცია:

- ვეძისი ლინკსი კოდი: 405083644

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30

დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 17 ოქტომბრის AR1549922 განცხადება, რომლითაც
ითხოვთ ქ.თბილისში, ჩიქოვანის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:01.14.15.015.086) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდას.

პასუხად გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი მიწის ნაკვეთისთვის ქ. თბილისის მერის 2015 წლის 18 მაისის №1902841 დოკუმენტით მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის პარამეტრი (კ1) განისაზღვრა 0.6-ით, ხოლო (კ2) 3.5-ით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების წესების მუხლი 21-ის შესაბამისად კ-1 და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება დასაშვებია ერთჯერადად. ვინაიდან პარამეტრების მომატების შემთხვევაში ნაკვეთზე ვრცელდება მომატების პერიოდში მოქმედი კანონმდებლობა, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრის მომატების საკითხი ვერ განიხილება,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია. დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2017 წლის 17 ოქტომბრის AR1549922 განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.